საქართველოს პარლამენტის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

2-2189/21
19-02-2021

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ, რათა ირაკლი კობახიძე დაჯილდოვდეს თავისუფლების საპარლამენტო ორდენით მის მიერ პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. კერძოდ, 2016-17 წლებში ირაკლი კობახიძე თავმჯდომარეობდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლითაც საქართველოში დამკვიდრდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაფუძნებული, ევროპული ტიპის საპარლამენტო მმართველობის სისტემა. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით თვისებრივად გაძლიერდა პარლამენტის როლი სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში. შესაბამისად, ახალი კონსტიტუცია ქმნის მყარ ფუნდამენტს საქართველოში პარლამენტის ინსტიტუტისა და პარლამენტარიზმის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

პატივისცემით,

პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge